სახელმძღვანელო რეკომენდაცია **2/2019 GDPR**-ის **6(1)(b)** მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტებისათვის ონლაინ სერვისების მიწოდების კონტექსტში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

ვერსია 2.0

2019 წლის 8 ოქტომბერი

წინამდებარე სახელმძღვანელო რეკომენდაციის თარგმანი მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საჯარო მმართველობის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფონდის პროექტის ფარგლებში და წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს.

ვერსიების შესახებ

ვერსია 2.0	2019 წლის 8 ოქტომბერი	სახელმძღვანელო პრინციპების მიღება საჯარო კონსულტაციების შემდგომ
ვერსია 1.0	2019 წლის 9 აპრილი	სახელმძღვანელო პრინციპების მიღება საჯარო კონსულტაციების შემდგომ

სარჩევი

1. ნაწილი 1 - შესავალი 4

1.1 კონტექსტი 4

1.2 წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მოქმედების სფერო 6

2. ნაწილი 2 – 6(1)(B) მუხლის ანალიზი 7

2.1 ზოგადი დაკვირვებები 7

2.2 6(1)(b) მუხლის მიმართება დამუშავების სხვა კანონიერ საფუძვლებთან 10

2.3 6(1)(b) მუხლის მოქმედების სფერო 11

2.4 აუცილებლობა 12

2.5 მონაცემთა სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებისთვის აუცილებელი 13

2.6 ხელშეკრულების შეწყვეტა 19

2.7 აუცილებელი ხელშეკრულების გაფორმებამდე გარკვეული ზომების მისაღებად 21

3. ნაწილი 3 – 6(1)(b) მუხლის გავრცელება კონკრეტულ სიტუაციებზე 22

3.1 დამუშავება „მომსახურების გაუმჯობესებისთვის“ 22

3.2 დამუშავება „თაღლითობის პრევენციისთვის“ 23

3.3 დამუშავება მომხმარებელთა ქცევაზე მორგებული რეკლამისთვის ონლაინ სივრცეში 23

3.4 დამუშავება შინაარსის პერსონალიზაციისთვის 25

ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭო,

ითვალისწინებს რა, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაციას (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (შემდგომში, „GDPR"), კერძოდ, მის 70(1e) მუხლს;

ამტკიცებს ქვემოთ წარმოდგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს

1. ნაწილი 1 - შესავალი

1.1 კონტექსტი

1. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად, კონკრეტული მიზნებისთვის და კანონით დადგენილი ლეგიტიმურ საფუძველზე დაყრდნობით. ამ მხრივ, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR)[1] 6(1) მუხლი უთითებს, რომ დამუშავება უნდა იყოს კანონიერი და უნდა ეფუძნებოდეს 6(1) მუხლის (a)-(f) ქვეპუნქტებით დადგენილი ექვსი პირობიდან ერთ-ერთს. უაღრესად მნიშვნელოვანია სათანადო სამართლებრივი საფუძვლის იდენტიფიცირება, რომელიც შეესაბამება დამუშავების მიზანს და არსს. სათანადო კანონიერი საფუძვლის იდენტიფიცირებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, *inter alia,* გაითვალისწინოს მონაცემთა სუბიექტის უფლებებზე ზეგავლენა, რათა სამართლიანობის პრინციპი იქნას დაცული.

2. GDPR-ის 6(1)(b) მუხლი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერ საფუძველს და ადგენს, რომ დამუშავება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ მოცულობით, თუ იგი აუცილებელია „მონაცემთა სუბიექტის მიერ დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად, ან სუბიექტის თხოვნით ხელშეკრულების გაფორმებამდე გარკვეული ზომების მისაღებად."[2] აღნიშნული ხელს უწყობს ბიზნეს საქმიანობის განხორციელების

[1] ევრპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია).

[2] ასევე, იხ. პრეამბულის 44-ე პუნქტი.

თავისუფლებას, რაც გარანტირებულია ქარტიის მე-16 მუხლით და ასახავს იმ ფაქტს, რომ ზოგ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია მონაცემთა სუბიექტის მიერ გარკვეული პერსონალური მონაცემების მიწოდების გარეშე. თუ გარკვეული დამუშავება მოთხოვნილი მომსახურების მიწოდების შემადგენელი ნაწილია, ორივე მხარის ინტერესში შედის შესაბამისი მონაცემების დამუშავება, რადგან სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება სერვისის მიწოდება და ხელშეკრულების შესრულება. ამავდროულად, ამ ან 6(1) მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე სხვა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ ათავისუფლებს GDPR-ით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისგან.

3. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 56-ე და 57-ე მუხლები განსაზღვრავს და არეგულირებს ევროკავშირის მასშტაბით სერვისების მიწოდების თავისუფლებას. „საინფორმაციო საზოგადოების სერვისებთან“ დაკავშირებით ევროკავშირში მიღებულია სპეციფიური საკანონმდებლო ზომები.[3] ეს სერვისები განიმარტება, როგორც „ნებისმიერი მომსახურება, რომლის მიწოდებაც, ჩვეულებრივ, ხდება ანაზღაურების სანაცვლოდ, დისტანციურად, ელექტრონული საშუალებებით და მომსახურების მიმღების ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე.“ აღნიშნული განმარტება მოიცავს მომსახურებას, რომლის საფასურსაც პირდაპირ არ იხდის მომსახურების მიმღები,[4] როგორიცაა რეკლამის საშუალებით დაფინანსებული ონლაინ სერვისები. ტერმინი „ონლაინ სერვისები“, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებში გამოიყენება, მიუთითებს „საინფორმაციო საზოგადოების სერვისებზე.“

4. ევროკავშირის სამართლის განვითარება ასახავს თანამედროვე საზოგადოებაში ონლაინ სერვისების ცენტრალურ მნიშვნელობას. მუდმივმოქმედი მობილური ინტერნეტის გავრცელება და ინტერნეტთან მიერთებული მოწყობილობების ფართო ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ონლაინ სერვისების განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა: სოციალური მედია, ელექტრონული ვაჭრობა, ინტერნეტ-კვლევა, კომუნიკაცია და მოგზაურობა. ზოგიერთი აღნიშნული მომსახურება ფინანსდება მომხმარებლის მიერ გადახდილი საფასურით, ხოლო ზოგიერთის მიწოდება კი ხდება მომხმარებლის მიერ ფულადი თანხის გადახდის გარეშე. ნაცვლად ამისა, აღნიშნული სერვისები ფინანსდება ონლაინ სარეკლამო სერვისების გაყიდვით, რომლებიც მონაცემთა სუბიექტების ტარგეტირების (მიზანში ამოღების) შესაძლებლობას იძლევა. მომხმარებლის

[3] მაგალითად, იხილეთ ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა (EU) 2015/1535 და GDPR-ის მე-8 მუხლი.
[4] იხ. ევროპარლამენტის და საბჭოს 2000 წლის 8 ივნისის დირექტივა 2000/31/EC, რომელიც ეხება საინფორმაციო საზოგადოების სერვისების გარკვეულ სამართლებრივ ასპექტებს, კერძოდ, ელექტრონულ ვაჭრობას, შიდა ბაზარში; პრეამბულის მე-18 პუნქტი.

ქცევის მონიტორინგი ამგვარი რეკლამის მიზნებისთვის ხშირად ხორციელდება ისე, რომ ამის შესახებ მომხმარებელი არ არის ინფორმირებული[5] და ზოგჯერ აღნიშნული არ არის ერთი შეხედვით აშკარა, მიწოდებული მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე. ეს პრაქტიკაში თითქმის შეუძლებელს ხდის მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმირებული არჩევანის განხორციელებას, საკუთარი მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით.

5. აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, მონაცემთა დაცვის ევროპულ საბჭოს[6] (EDPB) მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია სახელმძღვანელო ინსტრუქციების უზრუნველყოფა ონლაინ სერვისების კონტექსტში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე 6(1)(b) მუხლის გამოყენებადობასთან დაკავშირებით, რათა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები აღნიშნულ კანონიერ საფუძველს დაეყრდნონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მიზანშეწონილია.

6. საკუთარ დასკვნაში, რომელიც ეხება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესების ცნებას, 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფმა (WP29) გამოხატა მოსაზრება მონაცემების დამუშავებაზე, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად.[7] ზოგადად, აღნიშნული მოსაზრება კვლავ რელევანტურია 6(1)(b) მუხლთან და GDPR-თან მიმართებით.

1.2 წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მოქმედების სფერო

7. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ეხება 6(1)(b) მუხლის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დამუშავებას ხელშეკრულების შესრულების მიზნით, მონაცემთა სუბიექტებისათვის ონლაინ სერვისების მიწოდების კონტექსტში, იმის მიუხედავად, თუ ვინ აფინანსებს ამ სერვისებს. სახელმძღვანელო პრინციპებში წარმოდგენილია კანონიერი დამუშავების ელემენტები, GDPR-ის 6(1)(b) მუხლის თანახმად და ხაზგასმულია „აუცილებლობის“ კონცეფცია, „ხელშეკრულების შესრულების აუცილებლობის“ კონტექსტში.

8. მონაცემთა დაცვის წესები არეგულირებს მომხმარებლებსა და ონლაინ სერვისებს შორის ინტერაქციის მნიშვნელოვან ასპექტებს; ამავდროულად, მოქმედებს სხვა წესებიც. ონლაინ სერვისების რეგულირება მოიცავს გამჭოლ ფუნქციონალურ ვალდებულებებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა, *inter alia*,

[5] ამ მხრივ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეასრულონ გამჭვირვალობის შესახებ ვალდებულებები, რომელთაც ადგენს GDPR.
[6] დადგენილია GDPR-ის 68-ე მუხლით.
[7] 29-ე სამუშაო ჯგუფის დასკვნა 06/2014 დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთა ლეგიტიმური ინტერესების ცნების თაობაზე, 96/46/EC დირექტივის მე-7 მუხლის ჭრილში (WP217). კერძოდ, იხ. გვერდები 11, 16, 17, 18 და 55.

მომხმარებელთა დაცვის სამართალი და კონკურენციის სამართალი. სამართლის ამ სფეროებთან დაკავშირებული საკითხები წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებს სცილდება.

9. 6(1)(b) მუხლი მხოლოდ სახელშეკრულებო კონტექსტში გამოიყენება, თუმცა, წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები არ გამოხატავს მოსაზრებას ზოგადად ონლაინ სერვისების შესახებ ხელშეკრულებების ლეგიტიმურობის თაობაზე, რადგან აღნიშნული EDPB-ის კომპეტენციას სცდება. ამავდროულად, ხელშეკრულებები და ხელშეკრულების პირობები სახელშეკრულებო სამართლის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, ხოლო სამომხმარებლო ხელშეკრულებები უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონებს, იმისათვის, რომ ამ პირობების საფუძველზე განხორციელებული დამუშავება სამართლიანად და კანონიერად ჩაითვალოს.

10. ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემთა დაცვის პრინციპების შესახებ გარკვეული ზოგადი დაკვირვებები, თუმცა, ეს დაკვირვებები არ ეხება მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომელიც 6(1)(b) მუხლის საფუძველზე დამუშავებისას შეიძლება წარმოიშვას. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ვალდებულები არიან, უზრუნველყონ მე-5 მუხლში წარმოდგენილ მონაცემთა დაცვის პრინციპებთან და GDPR-ის ყველა მოთხოვნასთან, ხოლო საჭიროების მიხედვით, ელექტრონულ სივრცეში მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

2. ნაწილი 2 – 6(1)(B) მუხლის ანალიზი

2.1 ზოგადი დაკვირვებები

11. 6(1)(b) მუხლის საფუძველზე დამუშავების კანონიერი საფუძვლები გათვალისწინებული უნდა იქნას მთლიანად GDPR-ის, 1-ელ მუხლში დადგენილი მიზნებისა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის იმ მოვალეობის კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პერსონალური მონაცემების დამუშავებას მონაცემთა დაცვის პრინციპების შესაბამისად, მე-5 მუხლის თანახმად. აღნიშნული მოიცავს პერსონალური მონაცემების სამართლიანად და გამჭვირვალედ დამუშავებას, მიზნის შეზღუდვისა და მონაცემთა მინიმიზაციის ვალდებულებების მიხედვით.

12. GDPR-ის 5(1)(a) მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ, მონაცემთა სუბიექტთან მიმართებით. სამართლიანობის პრინციპი მოიცავს, მათ შორის,

მონაცემთა სუბიექტის გონივრული მოლოდინების აღიარებას[8], მონაცემთა სუბიექტებზე დამუშავების შესაძლო უარყოფითი გავლენის გათვალისწინებას და მონაცემთა სუბიექტებსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა შორის არსებული ურთიერთობისა და დისბალანცის პოტენციური შედეგების მხედველობაში მიღებას.

13. როგორც უკვე აღინიშნა, კანონიერება მოითხოვს, რომ ონლაინ სერვისების შესახებ ხელშეკრულება შესაბამისი სახელშეკრულებო სამართლის თანახმად იყოს ლეგიტიმური. ამ კუთხით ერთ-ერთი რელევანტური ფაქტორის მაგალითია მონაცემთა სუბიექტის სრულწლოვანება. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტი არასრულწლოვანია (გარდა GDPR-ით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობისა, იმ „სპეციფიური დაცვითი მექანიზმების" ჩათვლით, რომელიც არასრულწლოვნებზე ვრცელდება),[9] დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, უზრუნველყოს იმ ეროვნულ კანონებთან შესაბამისობა, რომელიც ეხება არასრულწლოვნის ქმედუნარიანობას ხელშეკრულების გაფორმების კუთხით. ამას გარდა, სამართლიანობის და კანონიერების პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დააკმაყოფილოს სხვა სამართლებრივი მოთხოვნები. მაგალითად, სამომხმარებლო ხელშეკრულებების შემთხვევაში, შესაძლოა მოქმედებდეს 93/13/EEC დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ („ხელშეკრულებების უსამართლო პირობების დირექტივა").[10] 6(1)(b) მუხლის მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ხელშეკრულებებით, რომელთაც

[8] არსებობს მოლოდინი, რომ ზოგიერთი პერსონალური მონაცემები არის პირადული ან მხოლოდ გარკვეული გზებით დამუშავდება, ხოლო მონაცემთა დამუშავება მონაცემთა სუბიექტისათვის არ უნდა იყოს მოულოდნელი (გასაკვირი). GDPR-ში „გონივრული მოლოდინების" კონცეფციაზე კონკრეტულად მიუთითებს პრეამბულის 47-ე და 50-ე პუნქტები, მე-6 მუხლის 1-ლი პუქნტის (f) ქვეპუნქტთან და მე-4 პუნქტთან მიმართებით.

[9] იხ. პრეამბულის 38-ე პუნქტი, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვნები სპეციფიურ დაცვას საჭიროებენ, მათ პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით, რადგან ისინი ნაკლებად აცნობიერებენ რისკებს, შედეგებს და დაცვის გარანტიებს და მათ უფლებებს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან მიმართებით.

[10] სამომხმარებლო ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ დირექტივის თანახმად, სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ინდივიდუალურად არ არის შეთანხმებული, უსამართლოდ ითვლება, თუ „კეთილსინდისიერების მოთხოვნის საპირისპიროდ, ის, მომხმარებლის საზიანოდ, იწვევს მნიშვნელოვან შეუსაბამობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებში." მსგავსად GDPR-ით გათვალისწინებული გამჭვირვალობის ვალდებულებისა, სამომხმარებლო ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ დირექტივა ითხოვს მარტივი და გასაგები ენის გამოყენებას. პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომელიც ეფუძნება იმას, რაც ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ დირექტივის თანახმად წარმოადგენს უსამართლო პირობას, როგორც წესი, არ შეესაბამება GDPR-ის 5(1)(a) მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რომ დამუშავება უნდა იყოს სამართლიანი და კანონიერი.

არეგულირებს ევროპის ეკონომიკური ზონის წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა.[11]

14. GDPR-ის 5(1)(b) მუხლი ითვალისწინებს მიზნის შეზღუდვის პრინციპს, რომლის თანახმადაც პერსონალური მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს კონკრეტული, მკაფიო და ლეგიტიმური მიზნებისთვის და მონაცემები არ უნდა დამუშავდეს დამატებით, იმგვარად, რაც აღნიშნულ მიზნებთან შეუთავსებელი იქნება.

15. 5(1)(c) მუხლი, აგრეთვე, ითვალისწინებს მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპს, ე.ი., მაქსიმალურად მცირე მოცულობის მონაცემთა დამუშავებას დასახული მიზნის მისაღწევად. აღნიშნული შეფასება მჭიდროდ არის დაკავშირებული აუცილებლობის შეფასებასთან, 6(1) მუხლის (b)-(f) ქვეპუნქტების შესაბამისად.

16. როგორც მიზნის შეზღუდვის, ისე მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპები განსაკუთრებით რელევანტურია ონლაინ სერვისების შესახებ ხელშეკრულებების კონტექსტში, რომელთა შესახებაც, როგორც წესი, არ იწარმოება ინდივიდუალური მოლაპარაკება. ტენქოლოგიური მიღწევები დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს აძლევს საშუალებას, ადვილად შეაგროვონ და დაამუშაონ იმაზე მეტი პერსონალური მონაცემები, ვიდრე ოდესმე შეუგროვებიათ და დაუმუშავებიათ. შედეგად, არსებობს მწვავე რისკი, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები მოისურვებენ დამუშავების ზოგადი პირობების გათვალისწინებას ხელშეკრულებებში, რათა მაქსიმალურად გაზარდონ მონაცემთა შესაძლო შეგროვებისა და გამოყენების ფარგლები, ისე, რომ ადეკვატურად არ მიუთითონ მათი მიზნები ან არ გაითვალისწინონ მონაცემთა მინიმიზაციის ვალდებულებები. WP29-მ განაცხადა, რომ:

> *შეგროვების მიზანი მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა იქნას იდენტიფიცირებული: იგი უნდა იყოს საკმარისად დეტალური, რათა განისაზღვროს, თუ რა სახის დამუშავება არის და არ არის გათვალისწინებული კონკრეტული მიზნის ქვეშ, და ხელი შეუწყოს კანონთან შესაბამისობის შეფასების შესაძლებლობას და მონაცემთა დაცვის მექანიზმთა გამოყენებას. ამ მიზეზების გამო, მიზანი, რომელიც არის ბუნდოვანი ან ზოგადი, როგორიცაა, მაგალითად, „მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესება“, „მარკეტინგული მიზნები“, „საინფორმაციო ტექნოლოგიური უსაფრთხოების მიზნები“ ან „სამომავლო კვლევა“ - მეტი დეტალის მითითების გარეშე - როგორც წესი, ვერ დააკმაყოფილებს ‘კონკრეტულობის’ კრიტერიუმს.*[12]

[11] GDPR-ი ვრცელდება ევროპის ეკონომიკური ზონის გარეთ მოქმედ გარკვეულ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებზე იხ. GDPR-ის მე-3 მუხლი.

[12] 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის დასკვნა 03/2013 მიზნის შეზღუდვის შესახებ (WP203), გვ.გვ.15-16.

2.2 6(1)(b) მუხლის მიმართება დამუშავების სხვა კანონიერ საფუძვლებთან

17. როდესაც დამუშავება არ არის აუცილებელი ხელშეკრულების შესასრულებლად, ე.ი., როდესაც მოთხოვნილი სერვისის მიწოდება შესაძლებელია დამუშავების გარეშე, EDPB ითვალისწინებს, რომ შესაძლოა მოქმედებდეს სხვა კანონიერი საფუძველი, თუ შემთხვევა შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს. კერძოდ, გარკვეულ გარემოებებში, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს ნებაყოფლობით თანხმობაზე დაყრდნობა, 6(1)(a) მუხლის შესაბამისად. სხვა შემთხვევებში დამუშავების სათანადო კანონიერ საფუძველს შესაძლოა უზრუნველყოფდეს 6(1)(f) მუხლი. სამართლებრივი საფუძველი იდენტიფიცირებული უნდა იქნას დამუშავების საწყის ეტაპზევე, ხოლო მონაცემთა სუბიექტისათვის მიწოდებული ინფორმაცია მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად, უნდა შეიცავდეს კონკრეტულ სამართლებრივ საფუძველზე მითითებას.

18. შესაძლებელია, რომ დამუშავების კონკრეტული ოპერაციის მიზანსა და კონტექსტს უფრო მეტად მიესადაგებოდეს სხვა კანონიერი საფუძველი, გარდა 6(1)(b) მუხლით გათვალისწინებულისა. სათანადო სამართლებრივი საფუძვლის იდენტიფიცირება დაკავშირებულია სამართლიანობის და მიზნის შეზღუდვის პრინციპებთან.[13]

19. WP29-ის სახელმძღვანელო პრინციპები თანხმობის შესახებ, აგრეთვე, განმარტავს, რომ თუ „დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ესწრაფვის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რომელიც რეალურად აუცილებელია ხელშეკრულების შესრულებისთვის, მაშინ თანხმობა არ წარმოადგენს სათანადო კანონიერ საფუძველს.“ მეორეს მხრივ, EDPB თვლის, რომ თუ დამუშავება არ არის აუცილებელი ხელშეკრულების შესრულებისთვის, მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეფუძნება სხვა შესაბამის სამართლებრივ საფუძველს.[14]

20. გამჭვირვალობის ვალდებულებების შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, თავიდან აიცილოს რაიმე დაბნეულობა იმასთან დაკავშირებით, თუ რაში მდგომარეობს სამართლებრივი საფუძველი.

---

[13] როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ახდენს სათანადო სამართლებრივი საფუძვლის იდენტიფიცირებას, სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად, აღნიშნულის მიღწევა რთული იქნება, თუ იგი პირველ რიგში მკაფიოდ არ მოახდენს დამუშავების მიზნების იდენტიფიცირებას ან თუ პერსონალური მონაცემების დამუშავების ფარგლები აღემატება იმას, რაც აუცილებელია კონკრეტული მიზნებისთვის.

[14] მე-9 მუხლთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხ., 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო პრინციპები თანხმობის შესახებ, 2016/679 რეგულაციის თანახმად (WP259), აღიარებულია EDPB-ის მიერ, გვ.გვ.19-20.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც სათანადო სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 6(1)(b) მუხლი, ხოლო მონაცემთა სუბიექტი ონლაინ სერვისების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს. გარემოებების მიხედვით, ხელშეკრულების ხელმოწერისას ან მომსახურების პირობებზე თანხმობის გაცხადებისას, მონაცემთა სუბიექტს შესაძლოა გაუჩნდეს მცდარი წარმოდგენა, რომ იგი თანხმობას გასცემს 6(1)(a) მუხლის შესაბამისად. ამავდროულად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, შესაძლოა, შეცდომით ჩათვალოს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერა ნიშნავს თანხმობას, 6(1)(a) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული კონცეფციებია. მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ მომსახურების პირობების მიღება ხელშეკრულების გაფორმებისას და თანხმობის გაცემა 6(1)(a) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, რადგან ამ კონცეფციებს განსხვავებული მოთხოვნები და სამართლებრივი შედეგები აქვთ.

21. რაც შეეხება პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიების დამუშავებას, თანხმობის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებში WP29 უთითებს:

> *9(2) მუხლი მონაცემთა განსაკუთრებული კატეგორიების დამუშავებაზე ზოგად აკრძალვასთან დაკავშირებით, გამონაკლისის სახით არ ითვალისწინებს „აუცილებელია ხელშეკრულების შესრულებისთვის". შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები და მხარე სახელმწიფოები, რომლებიც ამგვარი სიტუაციის წინაშე იმყოფებიან, მათ უნდა გადახედონ სპეციფიურ გამონაკლისებს, რომლებიც წარმოდგენილია 9(2) მუხლის (b) - (j) ქვეპუნქტებში. იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ სიტუაციაზე არ ვრცელდება არც ერთი აღნიშნული გამონაკლისი, GDPR-ით გათვალისწინებული ლეგიტიმური თანხმობის პირობების შესაბამისად მკაფიო თანხმობის მოპოვება რჩება ერთადერთი შესაძლო კანონიერი გამონაკლისი ამგვარი მონაცემების დასამუშავებლად.*[15]

2.3 6(1)(b) მუხლის მოქმედების სფერო

22. 6(1)(b) მუხლი ვრცელდება ორი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში: დამუშავება ობიექტურად აუცილებელი უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესასრულებლად, ან დამუშავება ობიექტურად აუცილებელი უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით, წინასახელშეკრულებო ნაბიჯების გადასადგმელად.

[15] 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო პრინციპები თანხმობის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიხედვით (WP259), აღიარებულია EDPB-ის მიერ, გვ.19

2.4 აუცილებლობა

23. დამუშავების აუცილებლობა 6(1)(b) მუხლის ორივე ნაწილის შემთხვევაში, წინაპირობას წარმოადგენს. თავიდანვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ის, რაც აუცილებელია ხელშეკრულების შესრულებისთვის, არ მოიცავს მხოლოდ იმის შეფასებას, თუ რა არის დაშვებული ხელშეკრულების პირობების თანახმად ან რა წერია ხელშეკრულების პირობებში. აუცილებლობის კონცეფციას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა ევროკავშირის სამართალში და იგი უნდა ასახავდეს მონაცემთა დაცვის სამართლის მიზნებს.[16] ამრიგად, იგი, აგრეთვე, მოიცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალური მონაცემების დაცვის ფუნდამენტური უფლების,[17] ისევე, როგორც მონაცემთა დაცვის პრინციპებთან დაკავშირებული მოთხოვნების (განსაკუთრებით, სამართლიანობის პრინციპი) გათვალისწინებას.

24. საწყის წერტის წარმოადგენს დამუშავების მიზნის იდენტიფიცირება, ხოლო სახელშეკრულებო ურთიერთობის კონტექსტში, დამუშავებას შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა მიზნები. ეს მიზნები მკაფიოდ უნდა მიეთითოს და ეცნობოს მონაცემთა სუბიექტს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიზნის შეზღუდვისა და გამჭვირვალობის ვალდებულებების შესაბამისად.

25. იმის შეფასება, თუ რა არის „აუცილებელი“ მოიცავს დამუშავების კომბინირებულ, ფაქტზე დაფუძნებულ შეფასებას, „დასახულ მიზანთან მიმართებით და იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ნაკლებად ინვაზიურია იგი, იმავე მიზნის მისაღწევად არსებულ სხვა შესაძლებლობებთან შედარებით.“[18] თუ არსებობს რეალისტური, ნაკლებად ინვაზიური (ნაკლებად შემზღუდავი) ალტერნატივები, მაშინ, დამუშავება არ არის „აუცილებელი“.[19]

---

[16] Huber-ის საქმეში CJEU-მ განაცხადა: „განსახილველი საკითხია [აუცილებლობის] კონცეფცია, რომელსაც აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი მნიშვნელობა თანამეგობრობის სამართალში და რომელიც განმარტებული უნდა იქნას იმგვარად, რაც სრულად შეესაბამება ამ დირექტივის მიზანს [დირექტივა 95/46], დირექტივის 1(1) მუხლის შესაბამისად.“ CJEU, საქმე C-524/06, Heinz Huber v Bundesrepublik Deutschland, 2008 წლის 18 დეკემბერი, პ.52.

[17] იხ. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-7 და მე-8 მუხლები.

[18] იხ. EDPS-ის ინსტრუმენტთა კრებული: პერსონალური მონაცემების დაცვის ფუნდამენტური უფლების შემზღუდავი ზომების აუცილებლობის შეფასება, გვ.5.

[19] Schecke-ს საქმეში, CJEU-მ დაადგინა, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავების აუცილებლობის შეფასებისას, კანონმდებელს უნდა გაეთვალისწინებინა ალტერნატიული, ნაკლებად ინვაზიური (შემზღუდავი) ზომები. CJEU, გაერთიანებული საქმეები C-92/09 და C-93/09, Volker und Markus Schecke GbR and Hartmut Eifert v Land Hessen, 2010 წლის 9 ნოემბერი. აღნიშნული CJEU-მ გაიმეორა Rigas-ის საქმეში, სადაც მან დაადგინა, რომ: „პერსონალური მონაცემების დამუშავების აუცილებლობის პირობასთან დაკავშირებით, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული გადახვევები ან შეზღუდვები უნდა გამოიყენებოდეს იმდენად, რამდენადაც ეს მკაცრად აუცილებელია.“ CJEU, საქმე C-13/16, alsts policijas Rīgas reģiona pārvaldes Kārtības policijas pārvalde

6(1)(b) მუხლი არ მოიცავს დამუშავებას, რომელიც სასარგებლოა, თუმცა, არ არის ობიექტურად აუცილებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი წინასახელშეკრულებო ნაბიჯების გადასადგმელად, მაშინაც კი, თუ ეს აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მიზნებისთვის.

2.5 მონაცემთა სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებისთვის აუცილებელი

26. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა შეუძლია დაეყრდნოს 6(1)(b) მუხლით გათვალიწინებულ პირველ საფუძველს, 5(2) მუხლით დადგენილი ანგარიშვალდებულების პრინციპების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დამუშავება ხორციელდება მონაცემთა სუბიექტთან დადებული ლეგიტიმური ხელშეკრულების კონტექსტში და დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული *კონკრეტული ხელშეკრულების* შესასრულებლად. თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვერ ადასტურებს, რომ (ა) ხელშეკრულება არსებობს, (ბ) ხელშეკრულება ლეგიტიმურია შესაბამისი ეროვნული სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით, (გ) და დამუშავება ობიექტურად აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მოძებნოს დამუშავების სხვა სამართლებრივი საფუძველი.

27. ხელშეკრულებაში მხოლოდ მონაცემთა დამუშავებაზე მითითება ან მონაცემთა დამუშავების ხსენება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოცემული დამუშავება 6(1)(b) მუხლის მოქმედების არეალში მოხვდეს. მეორეს მხრივ, დამუშავება შესაძლოა ობიექტურად აუცილებელი იყოს, მაშინაც კი, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის ნახსენები. ნებისმიერ შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეასრულოს გამჭვირვალობის ვალდებულებები. თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა სურს დაადგინოს, რომ დამუშავება მონაცემთა სუბიექტთან დადებული ხელშეკრულების შესრულებას ეფუძნება, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ რა არის *ობიექტურად აუცილებელი* ხელშეკრულების შესასრულებლად. „შესრულებისთვის აუცილებელი“ ცალსახად მოითხოვს იმაზე მეტს, ვიდრე სახელშეკრულებო დებულება. აღნიშნული, აგრეთვე, ნათელია 7(4) მუხლის

---

v Rīgas pašvaldības SIA ‘Rīgas satiksme’, პ.30. აუცილებლობის მკაცრი ტესტი არის საჭირო იმისათვის, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებების განხორციელებაზე დაწესდეს რაიმე შეზღუდვა, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით; იხ. EDPS-ის ინსტრუმენტთა კრებული: პერსონალური მონაცემების დაცვის ფუნდამენტური უფლების შემზღუდავი ზომების აუცილებლობის შეფასება, გვ.7.

ჭრილში. აღნიშნული დებულება მხოლოდ თანხმობის ლეგიტიმურობას (ნამდვილობას) ეხება, თუმცა, იგი ერთმანეთისაგან მკაფიოდ განარჩევს დამუშავებასთან დაკავშირებულ აქტივობებს, რომლებიც აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად, და *დებულებებს* რომელთა მიხედვითაც მომსახურება დამოკიდებულია დამუშავების გარკვეულ აქტივობებზე, რომლებიც რეალურად არ არის აუცილებელი ხელშეკრულების შესასრულებლად.

28. ამ მხრივ, EDPB იზიარებს 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელო პრინციპებს, წინა დირექტივის ექვივალენტური დებულების შესახებ, რომლის მიხედვითაც „მონაცემთა სუბიექტთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად აუცილებელი“:

> *... განმარტებული უნდა იქნას მკაცრად და არ მოიცავს ისეთ სიტუაციებს, სადაც დამუშავება არ არის ჭეშმარიტად აუცილებელი ხელშეკრულების შესასრულებლად, არამედ, მას ცალმხრივ უწესებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტს. ამას გარდა, ის ფაქტი, რომ გარკვეულ დამუშავებას ხელშეკრულება ითვალისწინებს, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ დამუშავება აუცილებელია ხელშეკრულების შესრულებისთვის. [...] მაშინაც კი, თუ დამუშავების მოცემული აქტივობები კონკრეტულად არის მითითებული ხელშეკრულების იმ ნაწილში, რომელიც წვრილი შრიფტით არის შედგენილი, მხოლოდ ეს ფაქტი არ ნიშნავს, რომ ეს აქტივობები „აუცილებელია“ ხელშეკრულების შესრულებისთვის.*[20]

29. EDPB, აგრეთვე, მიუთითებს WP29-ის იმავე სახელმძღვანელო ინსტრუქციებზე, რომლის მიხედვითაც:

> *მკაფიო კავშირი არსებობს აუცილებლობის შეფასებასა და მიზნის შეზღუდვის პრინციპთან შესაბამისობას შორის. მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ კონკრეტულად რა წარმოადგენს ხელშეკრულების რაციონალურ საფუძველს, ე.ი. მისი არსი და ფუნდამენტური მიზანი, ვინაიდან სწორედ აღნიშნულის მიხედვით შეფასდება ხელშეკრულების შესრულებისთვის მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა.*[21]

30. იმის შეფასებისას, თუ რამდენად წარმოადგენს 6(1)(b) მუხლი დამუშავების სათანადო სამართლებრივ საფუძველს, ხელშეკრულების საფუძველზე ონლაინ სერვისის მიწოდების კონტექსტში, გათვალისწინებული უნდა იქნას სერვისის კონკრეტული მიზანი და ამოცანა. 6(1)(b) მუხლის გავრცელებისთვის, საჭიროა, რომ დამუშავება *ობიექტურად აუცილებელი* იყოს იმ მიზნისთვის, რომელიც

[20] 29-ე სამუშაო ჯგუფის დასკვნა 06/2014 მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, 95/46/EC დირექტივის (WP2017) მე-7 მუხლის თანახმად, გვ.გვ.16-17.
[21] Ibid., გვ. 17.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. გამონაკლისს არ წარმოადგენს მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული დეტალების დამუშავება. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეძლოს დემონსტრირება, რომ *მონაცემთა სუბიექტთან გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულების* ძირითადი საგანი, რეალურად, ვერ განხორციელდება მოცემული პერსონალური მონაცემების კონკრეტული დამუშავების გარეშე. ამ შემთხვევაში, მთავარი საკითხია პერსონალურ მონაცემებსა და დამუშავების ოპერაციებს შორის არსებული კავშირი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ან არ-მიწოდება.

31. ციფრული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, შესაძლოა, მოიცავდეს დებულებებს, რომლებიც დამატებით პირობებს აწესებენ რეკლამასთან, გადახდის პირობებთან, „ქუქი“ ფაილებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ხელშეკრულებით ხელოვნურად ვერ გაფართოვდება პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები ან დამუშავების ტიპები, რომლებიც დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ესაჭიროება 6(1)(b) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, ხელშეკრულების შესასრულებლად.

32. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეეძლოს დამუშავების დასაბუთება ხელშეკრულების ფუნდამენტურ და ურთიერთშეთანხმებულ მიზანზე მითითებით. აღნიშნული დამოკიდებულია არა მხოლოდ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, არამედ, გონიერი მონაცემთა სუბიექტის პერსპექტივაზეც, ხელშეკრულების გაფორმებისას, და იმაზე, თუ რამდენად ჩაითვლება ხელშეკრულება „შესრულებულად“ მოცემული დამუშავების გარეშე. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, შესაძლოა, ჩათვალოს, რომ ხელშეკრულების მიზნისთვის აუცილებელია დამუშავება, თუმცა, მათ საშუალო მონაცემთა სუბიექტის პერსპექტივა გულდასმით უნდა შეისწავლონ, რათა უზრუნველყონ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის გარშემო რეალურად არსებობს ურთიერთშეთანხმება.

33. იმისათვის რომ შეფასდეს, მოქმედებს თუ არა მოცემულ შემთხვევაში 6(1)(b) მუხლი, შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ქვემოთ წარმოდგენილი კითხვებით:

- მონაცემთა სუბიექტს რა სახის მომსახურებას აწვდის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი? რაში მდგომარეობს არის აღნიშნული დამახასიათებელი ნიშან-თვისებები?
- ზუსტად რა წარმოადგენს ხელშეკრულების რაციონალურ საფუძველს (ე.ი., მისი არსი და ფუნდამენტური მიზანი)?
- რაში მდგომარეობს ხელშეკრულების აუცილებელი ელემენტები?

- რა საერთო პერსპექტივები და მოლოდინები აქვთ ხელშეკრულების მხარეებს? როგორ ხდება მომსახურების რეკლამირება მონაცემთა სუბიექტის წინაშე? მომსახურების ჩვეულებრივ მომხმარებელს ექნება თუ არა მოლოდინი, რომ მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე, მათ მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შესასრულებლად განხორციელდება გათვალისწინებული დამუშავება?

34. ის, თუ რა არის „აუცილებელი ხელშეკრულების შესრულებისთვის“ უნდა შეფასდეს დამუშავების დაწყებამდე. თუ შეფასება აჩვენებს, რომ გათვალისწინებული დამუშავება სცდება იმას, რაც ობიექტურად აუცილებელია ხელშეკრულების შესრულებისთვის, ეს არ ნიშნავს, რომ როგორც ასეთი, გათვალისიწინებული დამუშავება არის უკანონო. როგორც უკვე ითქვა, მე-6 მუხლი მკაფიოდ ადგენს, რომ დამუშავების დაწყებამდე პოტენციურად ხელმისაწვდომია სხვა კანონიერი საფუძვლები.[22]

35. თუ სერვისის არსებობის პერიოდში, დაინერგა ახალი ტექნოლოგია, რომელიც ცვლის პერსონალური მონაცემების დამუშავების გზებს ან განვითარდა თავად ეს სერვისი, საჭიროა ხელახალი შეფასების განხორციელება ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე, რათა განისაზღვროს, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ დამუშავების ახალი ან შეცვლილი ოპერაციები დაეფუძნოს 6(1)(b) მუხლს.

> მაგალითი 1
>
> მონაცემთა სუბიექტი ყიდულობს ნივთებს ონლაინ მოვაჭრისგან. მას სურს, გადახდა განახორციელოს საკრედიტო ბარათით, ხოლო ნივთები მიიტანონ მის სახლში. ხელშეკრულების შესასრულებლად, მოვაჭრემ უნდა დაამუშავოს მონაცემთა სუბიექტის საკრედიტო ბარათის მონაცემები და საბანკო ანგარიშთან დაკავშირებული მისამართი, ხოლო შეკვეთის სახლში მისატანად - მონაცემთა სუბიექტის საცხოვრებელი მისამართი. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს 6(1)(b) მუხლი, როგორც დამუშავების სამართლებრივი საფუძველი.
>
> ამავდროულად, თუ მომხმარებელს სურს, ადგილზე მიაკითხოს თავის შეკვეთას, მაშინ მონაცემთა სუბიექტის საცხოვრებელი მისამართი აღარ არის აუცილებელი შესყიდვის ხელშეკრულების შესასრულებლად. მონაცემთა სუბიექტის დამუშავება ასეთ კონტექსტში მოითხოვს სამართლებრივ

[22] იხ. 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო პრინციპები თანხმობის შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიხედვით (WP259), აღიარებულია EDPB-ის მიერ, გვ.31. კერძოდ, სახელმძღვანელო ინსტრუქციების მიხედვით, „GDPR-ის თანახმად, შეუძლებელია ერთი კანონიერი საფუძვლის მეორეთი ჩანაცვლება.“

საფუძველს, რომელიც 6(1)(b) მუხლით გათვალისწინებული საფუძვლისგან განსხვავდება.

მაგალითი 2 იმავე ონლაინ მოვაჭრის სურვილია, შექმნას მომხმარებელთა გემოვნებისა და ცხოვრების სტილის ამსახველი პროფილები იმის, საიტზე მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საფუძველზე. შესყიდვის ხელშეკრულების შესრულება არ არის დამოკიდებული ამგვარი პროფილების შექმნაზე. მაშინაც კი, თუ ხელშეკრულება პირდაპირ მიუთითებს პროფილირებაზე, მხოლოდ ეს ფაქტი ვერ გახდის პროფილირებას ხელშეკრულების შესრულებისთვის „აუცილებელს“. თუ ონლაინ მოვაჭრეს ამგვარი პროფილირების განხორციელება სურს, იგი სხვა სამართლებრივ საფუძველს უნდა დაეყრდნოს.

36. სახელშეკრულებო სამართლის და საჭიროების შემთხვევაში, სამომხმარებლო სამართლის ფარგლებში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს ენიჭებათ თავისუფლება საკუთარი ბიზნესის, სერვისებისა და ხელშეკრულებების ფორმირების კუთხით. ზოგ შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა შესაძლოა მოისურვოს რამდენიმე სხვადასხვა სერვისის ან სერვისის ელემენტების განსხვავებულ ფუნდამენტურ მიზნებთან, მახასიათებლებთან ან რაციონალურ დასაბუთებასთან გაერთიანება ერთ ხელშეკრულებაში. ამან, შესაძლოა, იმ მონაცემთა სუბიექტებისთვის, რომლებიც მხოლოდ ერთ-ერთი მომსახურების მიღებით არიან დაინტერესებულები, შექმნას ისეთი სიტუაცია, სადაც მათ არჩევანი არ რჩებათ.

37. მონაცემთა დაცვის სამართლის მიხედვით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს მოეთხოვებათ, გაითვალისწინონ, რომ დამუშავების დაგეგმილ აქტივობებს უნდა ჰქონდეთ სათანადო სამართლებრივი საფუძველი. თუ ხელშეკრულება რამოდენიმე სხვადასხვა მომსახურების ან მომსახურების ელემენტისგან შედგება, რომელთა შესრულებაც, გონივრულობის ფარგლებში, შესაძლებელია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, წარმოიშვება კითხვა, თუ რამდენად იმოქმედებს 6(1)(b) მუხლი, როგორც სამართლებრივი საფუძველი. 6(1)(b) მუხლის გამოყენებადობა თითოეული სერვისის კონტექსტში *ცალ-ცალკე* უნდა შეფასდეს და გათვალისწინებული იქნას ის, რაც ობიექტური თვალსაზრისით აუცილებელია თითოეული ინდივიდუალური მომსახურების შესასრულებლად, რომელსაც მონაცემთა სუბიექტი აქტიურად ითხოვს ან რომლის მისაღებათაც მონაცემთა სუბიექტი დარეგისტრირდა. ამ შეფასების თანახმად შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ დამუშავების გარკვეული აქტივობები არ

არის აუცილებელი მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური სერვისებისთვის, არამედ, აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ფართო ბიზნეს-მოდელისთვის. ამ შემთხვევაში, 6(1)(b) ვერ იქნება სამართლებრივი საფუძველი ამგვარი აქტივობებისთვის. ამავდროულად, დამუშავებისთვის შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს სხვა სამართლებრივი საფუძვლები, როგორებიცაა 6(1) მუხლის (a) ან (f) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები, თუ დაკმაყოფილდება შესაბამისი კრიტერიუმები. ამრიგად, 6(1)(b) მუხლის გამოყენებადობის შეფასება არ ახდენს გავლენას ხელშეკრულების ლეგიტიმურობაზე ან როგორც ასეთი, სერვისების გაერთიანებაზე ერთი ხელშეკრულების ქვეშ.

38. როგორც WP29-მ აღნიშნა, სამართლებრივი საფუძველი მოქმედებს მხოლოდ იმ დამუშავებასთან დაკავშირებით, რაც აუცილებელია ხელშეკრულების *შესასრულებლად.*[23] როგორც ასეთი, იგი ავტომატურად არ ვრცელდება ყველა შემდგომ ქმედებაზე, რომელსაც გამოიწვევს ხელშეკრულებასთან შეუსაბამობა ან ყველა სხვა ინციდენტზე, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში. ამავდროულად, გარკვეული ქმედებები შესაძლებელია, რომ წინასწარ იყოს გათვალისწინებული, გონივრულობის ფარგლებში, და აუცილებელი ჩვეულებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის კონტექსტში, როგორიცაა: ფორმალური შეხსენების გაგზავნა გადასახდელი თანხების შესახებ ან ხელშეკრულების შესრულების პროცესში გაჭიანურების ან შეცდომის გამოსწორება. 6(1)(b) მუხლი, შესაძლოა, მოიცავდეს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რომელიც აუცილებელია ამგვარ ქმედებებთან მიმართებით.

მაგალითი 3 კომპანია ინტერნეტით ყიდის პროდუქტებს. მომხმარებელი კომპანიას უკავშირდება იმის გამო, რომ შეძენილი პროდუქტის ფერი განსხვავდება იმ ფერისგან, რაზეც შეთანხმდნენ. მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება აღნიშნული შეცდომის გამოსასწორებლად შესაძლოა დაეფუძნოს 6(1)(b) მუხლს.

39. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარანტია, შესაძლოა, ხელშეკრულების შესრულების შემადგენელი ნაწილი იყოს და ამგვარად, ხელშეკრულების შესრულებისთვის შესაძლოა აუცილებელი იყოს საგარანტიო მიზნებისთვის გარკვეული მონაცემების შენახვა კონკრეტული ვადით, მას შემდეგ, რაც მოხდება საქონლის თუ მომსახურების მიწოდება/თანხის გადახდა.

[23] 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის დასკვნა 06/2014 მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, 95/46/EC დირექტივის მე-7 მუხლის თანახმად (WP2017), გვ.გვ. 17-18.

2.6 ხელშეკრულების შეწყვეტა

40. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მოახდინოს სათანადო სამართლებრივი საფუძვლის იდენტიფიცირება დამუშავების დაგეგმილი ოპერაციებისთვის მანამ, სანამ დაიწყება დამუშავება. თუ დამუშავების ზოგიერთი ან ყველა აქტივობის საფუძველია 6(1)(b) მუხლი, მაშინ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, თუ რა მოხდება ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.[24]

41. როდესაც პერსონალური მონაცემების დამუშავება ეფუძნება 6(1)(b) მუხლს, ხოლო ხელშეკრულება სრულად წყდება, როგორც წესი, ამ მონაცემების დამუშავება აღარ რიქნება აუცილებელი ხელშეკრულების შესასრულებლად და ამრიგად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეწყვიტოს დამუშავება. მონაცემთა სუბიექტმა შესაძლებელია, რომ პერსონალური მონაცემები წარმოადგინა სახელშეკრულებო ურთიერთობის კონტექსტში და მას ჰქონდა ნდობა, რომ მონაცემების დამუშავება მოხდებოდა მხოლოდ ამ ურთიერთობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილის სახით. ამრიგად, ზოგადად უსამართლობას წარმოადგენს ძველი სამართლებრივი საფუძვლის ახლით ჩანაცვლება, მას შემდეგ, რაც დამუშავების თავდაპირველი საფუძველი შეწყვეტს არსებობას.

42. ხელშეკრულების შეწყვეტა, შესაძლოა დაკავშირებული იყოს გარკვეულ ადმინისტრირებასთან, როგორიცაა, საქონლის ან გადახდილი თანხის დაბრუნება. აღნიშნულთან დაკავშირებული დამუშავება, შესაძლოა, დაეფუძნოს 6(1)(b) მუხლს.

43. 17(1)(a) მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემები უნდა წაიშალოს იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღარ წარმოადგენს აუცილებლობას იმ მიზნებთან მიმართებით, რისთვისაც მოხდა მათი შეგროვება. თუმცა, აღნიშნული პირობა არ მოქმედებს, თუ დამუშავება აუცილებელია გარკვეული, კონკრეტული მიზნებისთვის, მათ შორის, ახალი სამართლებრივი მოვალეობის შესრულებისთვის, 17(3)(b) მუხლის შესაბამისად ან სამართლებრივი მოთხოვნების (პრეტენზიების) დადგენის, განხორციელებისა თუ დაცვის მიზნით, 17(3)(e) მუხლის შესაბამისად. პრაქტიკაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ხედავს სამართლებრივი მიზნებისთვის ჩანაწერთა შენახვის ზოგად საჭიროებას, მაშინ მან უნდა მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის იდენტიფიცირება დამუშავების საწყის ეტაპზევე და მონაცემთა სუბიექტს თავიდანვე მკაფიოდ მიაწოდოს ინფორმაცია იმის

[24] თუ ხელშეკრულება გაუქმდება, ეს გავლენას მოახდენს დამუშავების გაგრძელების კანონიერებაზე (5(1)(a) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში). ამავდროულად, აღნიშნული ავტომატურად არ ნიშნავს, რომ 6(1)(b) მუხლის არჩევა სამართლებრივი საფუძვლის სახით არასწორი იყო.

შესახებ, თუ რამდენი ხნით გეგმავს იგი ჩანაწერების შენახვას აღნიშნული სამართლებრივი მიზნებისთვის, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ. თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ასე მოიქცევა, აღარ იქნება საჭირო მონაცემების წაშლა ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.

44. ნებისმიერ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ დამუშავების საწყის ეტაპზე იდენტიფიცირებული იქნას დამუშავების რამოდენიმე ოპერაცია, სხვადასხვა მიზნებითა და სამართლებრივი საფუძვლებით. თუ დამუშავების სხვა ოპერაციები კანონიერია და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ამ ოპერაციების შესახებ მონაცემთა სუბიექტს მკაფიო ინფორმაციას აწვდის დამუშავების დაწყების მომენტში, GDPR-ით დადგენილი გამჭვირვალობის ვალდებულებების შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა შეეძლება, მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს აღნიშნული განსხვავებული მიზნებისთვის, მას შემდეგ, რაც მოხდება ხელშეკრულების შეწყვეტა.

მაგალითი 4

ონლაინ კომპანია მომხმარებლების აწვდის გამოწერის სერვისს, რომლის გაუქმებაც ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. ხელშეკრულების გაფორმებისას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტს აწვდის ინფორმაციას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი განმარტავს, *inter alia*, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, იგი მოახდენს მომსახურების გამოყენების შესახებ მონაცემების დამუშავებას, ინვოისის გაცემის მიზნით. შესაბამის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 6(1)(b) მუხლი, ვინაიდან ინვოისის მომზადების მიზნებისთვის დამუშავება, შესაძლოა, ობიექტური თვალსაზრისით ჩაითვალოს აუცილებლად ხელშეკრულების შესრულებისთვის. ამავდროულად, როდესაც ხელშეკრულება წყდება და არ არსებობს რაიმე მიმდინარე, რელევანტური სამართლებრივი პრეტენზიები ან სამართლებრივი მოთხოვნები მონაცემთა შენახვასთან დაკავშირებით, მოხმარების ისტორია წაიშლება.

ამას გარდა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტს აწვდის ინფორმაციას, რომ მას ეროვნულ დონეზე მოქმედი კანონი აკისრებს გარკვეული პერსონალური მონაცემების შენახვის ვალდებულებას კონკრეტული ვადით, ბუღალტრული მიზნებისთვის. სათანადო სმართლებრივი საფუძველია 6(1)(c) მუხლი, ხოლო მონაცემები შეინახება იმ შემთხვევაშიც, თუ შეწყდება კონტრაქტი.

2.7 აუცილებელი ხელშეკრულების გაფორმებამდე გარკვეული ზომების მისაღებად

45. 6(1)(b) მუხლის მეორე ნაწილი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც დამუშავება *აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის თხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებამდე გარკვეული ზომების მისაღებად.* ეს დებულება ეხმიანება იმ ფაქტს, რომ პერსონალური მონაცემების წინასწარი დამუშავება შესაძლოა აუცილებელი იყოს ხელშეკრულების დადებამდე, რაც რეალურად, ამ ხელშეკრულების დადებას შეუწყობს ხელს.

46. დამუშავების დროს, შესაძლოა არ იყოს ნათელი ხელშეკრულება გაფორმდება თუ არა. მიუხედავად ამისა, მოქმედებს 6(1)(b) მუხლის მეორე ნაწილი იმ პირობით, რომ მონცემთა სუბიექტი მოთხოვნას წარადგენს ხელშეკრულების *პოტენციურად* გაფორმების კონტექსტში, ხოლო მოცემული დამუშავება აუცილებელია მოთხოვნილი ნაბიჯების გადასადგმელად. აღნიშნულის შესაბამისად, თუ მონაცემთა სუბიექტი დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაუკავშირდება და სთხოვს დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სერვისებს სთავაზობს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დამუშავება მის თხოვნაზე პასუხის გაცემის მიზნით შესაძლოა დაეფუძნოს 6(1)(b) მუხლს.

47. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული დებულება არ მოიცავს არასასურველ მარკეტინგს ან სხვა სახის დამუშავებას, რომელიც ხორციელდება მხოლოდ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ინიციატივით, ან მესამე მხარის მოთხოვნით.

მაგალითი 5 მონაცემთა სუბიექტი დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა აწვდის საფოსტო კოდს, რათა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა გადაამოწმოს, არის თუ არა მომსახურება ხელმისაწვდომი მოცემულ ტერიტორიაზე. აღნიშნული შესაძლოა მიჩნეული იქნას, როგორც დამუშავება, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების გაფორმებამდე, 6(1)(b) მუხლის თანახმად.

მაგალითი 6 ზოგ შემთხვევაში, ფინანსურ დაწესებულებებს აქვთ ვალდებულება, მოახდინონ თავიანთი მომხმარებლების იდენტიფიცირება, ეროვნულ დონეზე მოქმედი კანონების შესაბამისად. აღნიშნულის მსგავსად, მონაცემთა სუბიექტთან

ხელშეკრულების გაფორმებამდე, ბანკი ითხოვს მათი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ნახვას.

მოცემულ შემთხვევაში, იდენტიფიკაცია აუცილებელია ბანკის მიერ მასზე დაკისრებული სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად და არა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარკვეული წინასახელშეკრულებო ნაბიჯების გადასადგმელად. შესაბამისად, სათანადო სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 6(1) მუხლის (b) და არა (c) ქვეპუნქტი.

3. ნაწილი 3 – 6(1)(b) მუხლის გავრცელება კონკრეტულ სიტუაციებზე

3.1 დამუშავება „მომსახურების გაუმჯობესებისთვის“[25]

48. ონლაინ სერვისები ხშირად აგროვებენ დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ მომხმარებლები მათ მომსახურებას. უმეტეს შემთხვევაში, ორგანიზაციული მეტრიკების (რაოდენობრივი შეფასების საზომის) შეგროვება მომსახურების ან მომხმარებელთა ჩართულობის შესახებ არ წარმოადგენს აუცილებელ დამუშავებას მომსახურების მიწოდებისთვის, რადგან მომსახურების მიწოდება შესაძლებელია ამგვარი პერსონალური მონაცემების დამუშავების გარეშე. ამავდროულად, მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია, ამგვარი დამუშავებისთვის დაეყრდნოს ალტერნატიულ სამართლებრივ საფუძველს, როგორიცაა ლეგიტიმური ინტერესი ან თანხმობა.

49. EDPB არ თვლის, რომ ზოგადად, 6(1)(b) მუხლი სათანადო სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მომსახურების გაუმჯობესების ან არსებული მომსახურების ფარგლებში ახალი ფუნქციების შემუშავების მიზნებით. უმეტეს შემთხვევაში, მომხმარებელი ხელშეკრულებას აფორმებს არსებული მომსახურების მისაღებად. სერვისის გაუმჯობესების ან მასში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა, შესაძლოა, რუტინული პირობის სახით, გათვალისწინებული იქნას ხელშეკრულებაში, თუმცა, ამგვარი დამუშავება ვერ იქნება მიჩნეული, როგორც ობიექტურად აუცილებელი მომხმარებლის ხელშეკრულების შესასრულებლად.

[25] ონლაინ სერვისების შემთხვევაში, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იქნას ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის დირექტივა (EU) 2019/770 ციფრული შინაარსის და ციფრული სერვისების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებათან დაკავშირებული გარკვეული ასპექტების თაობაზე (OJ L 136 22.05.2019, გვ.1), რომელიც ძალაშია 2022 წლის იანვრიდან.

3.2 დამუშავება „თაღლითობის პრევენციისთვის“

50. როგორც WP29-მ აღნიშნა,[26] თაღლითობის პრევენციის მიზნით დამუშავება, შესაძლოა, მოიცავდეს მომხმარებელთა პროფილირებას და მონიტორინგს. EDPB-ის მოსაზრებით, ამგვარი დამუშავება, სავარაუდოდ, სცდება იმას, რაც ობიექტურად აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად. ამავდროულად, პერსონალური მონაცემების დამუშავება, რაც თაღლითობის პრევენციის მიზნებისთვის არის აუცილებელი, შესაძლოა წარმოადგენდეს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმურ ინტერესს,[27] რის გამოც, იგი შესაძლოა კანონიერად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი აკმაყოფილებს 6(1)(f) მუხლით დადგენილ კონკრეტულ მოთხოვნებს (ლეგიტიმური ინტერესები). ამას გარდა, მონაცემთა ამგვარი დამუშავების კანონიერი საფუძველი შეიძლება იყოს 6(1)(c) მუხლი(სამართლებრივი ვალდებულება).

3.3 დამუშავება მომხმარებელთა ქცევაზე მორგებული რეკლამისთვის ონლაინ სივრცეში

51. ონლაინ სერვისების დაფინანსების მიზნით, ხშირად გამოიყენება ონლაინ სივრცეში მომხმარებელთა ქცევაზე მორგებული რეკლამა და მონაცემთა სუბიექტების თანმდევი მონიტორინგი და პროფილირება. WP29-ს ამგვარ დამუშავებასთან დაკავშირებით გამოხატა საკუთარი მოსაზრება, კერძოდ:

> *[ხელშეკრულებით გამოწვეული აუცილებლობა] არ წარმოადგენს სათანადო სამართლებრივ საფუძველს მომხმარებლის გემოვნებისა და ცხოვრების სტილის შესახებ პროფილის შესაქმნელად, ვებგვერდზე მომხმარებლის გადაადგილების [clickstream] და მის მიერ შეძენილი ნივთების საფუძველზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ ხელშეკრულების გაფორმება ხდება არა პროფილირებისთვის, არამედ, მაგალითად, კონკრეტული საქონლის და სერვისების მიწოდებისთვის.*[28]

52. როგორც წესი, პერსონალური მონაცემების დამუშავება მომხმარებლის ქცევაზე მორგებული რეკლამისთვის არ არის აუცილებელი ონლაინ სერვისების შესახებ ხელშეკრულების შესასრულებლად. როგორც წესი, რთულია იმის მტკიცება, რომ ხელშეკრულების არ შესრულების მიზეზს წარმოადგენს მომხმარებლის

---

[26] 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის დასკვნა 06/2014 მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, 95/46/EC დირექტივის მე-7 მუხლის თანახმად (WP217), გვ.17.

[27] იხ. პრეამბულის 47-ე პუნქტი, მეექვსე წინადადება.

[28] 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის დასკვნა 06/2014 მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, 95/46/EC დირექტივის მე-7 მუხლის თანახმად (WP217), გვ.17.

ქცევაზე მორგებული რეკლამის არ არსებობა. აღნიშნულ არგუმენტს უფრო მეტად განამტკიცებს ის ფაქტი, რომ მონაცემთა სუბიექტებს ენიჭებათ 21-ე მუხლით დაცული აბსოლუტური უფლება, მოითხოვონ პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის თავიანთი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა.

53. ამას გარდა, 6(1)(b) მუხლი ვერ უზრუნველყოფს კანონიერ საფუძველს ონლაინ სივრცეში მომხმარებლის ქცევაზე მორგებული რეკლამისთვის მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი რეკლამა ირიბად აფინანსებს სერვისის მიწოდებას. ამგვარი დამუშავება შესაძლოა ხელს უწყობდეს სერვისის მიწოდებას, თუმცა, მხოლოდ აღნიშნული ფაქტი არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ იგი აუცილებელია მოცემული ხელშეკრულების შესასრულებლად. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს 33-ე პუნქტში წარმოდგენილი ფაქტორები.

54. ვინაიდან მონაცემთა დაცვა არის ფუნდამენტური უფლება, რომელიც გარანტირებულია ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლით, და იმის გათვალისწინებით, რომ GDPR-ის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, მონაცემთა სუბიექტებს მისცეს შესაძლებლობა, თავად აკონტროლონ მათ შესახებ ინფორმაცია, პერსონალური მონაცემები ვერ იქნება მიჩნეული ვაჭრობად საქონლად. მონაცემთა სუბიექტს შეუძლია, დაეთანხმოს პერსონალური მონაცემების დამუშავებას,[29] თუმცა, იგი აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ვერ შეძლებს ფუნდამენტური უფლებებით ვაჭრობას.[30]

55. EDPB-ს თანახმად, ონლაინ სივრცეში მონაცემთა დაცვის (ePrivacy) მოთხოვნების, მომხმარებლის ქცევაზე მორგებული რეკლამის შესახებ WP29-ის არსებული დასკვნის[31] და ქუქი ფაილების მიმართ თანხმობის მოპოვების შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციების შემცველი 02/2013 სამუშაო დოკუმენტის[32] თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, წინასწარ მოიპოვოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა იმ ქუქი ფაილების

[29] იხ. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის დირექტივა (EU) 2019/770 ციფრული შინაარსის და ციფრული სერვისების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებათან დაკავშირებული გარკვეული ასპექტების თაობაზე.

[30] გარდა იმისა, რომ GDPR-ი არეგულირებს პერსონალური მონაცემების გამოყენებას, სხვა დამატებითი მიზეზებიც არსებობს, თუ კონცეპტუალური თვალსაზრისით, რატომ განსხვავდება პერსონალური მონაცემების დამუშავება ფულადი გადახდებისგან. მაგალითად, ფული არის დათვლადი, რაც ნიშნავს იმას, რომ ფასების შედარება შესაძლებელია კონკურენტულ ბაზარზე, ხოლო ფულადი გადახდების განხორციელება, როგორც წესი, მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის ჩართულობით არის შესაძლებელი. ამას გარდა, პერსონალური მონაემები შესაძლოა ერთდროულად რამოდენიმე სერვისებისთვის იქნას გამოყენებული. მას შემდეგ, რაც მონაცემთა სუბიექტი დაკარგავს კონტროლს საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე, შესაძლოა კონტროლი ვეღარ აღადგინოს.

[31] 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის დასკვნა 2/2010 ონლაინ სივრცეში მომხმარებლის ქცევაზე მორეგებული რეკლამის შესახებ (WP171).

[32] 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის სამუშაო დოკუმენტი 02/2013, რომელიც შეიცავს სახელმძღვანელო ინსტრუქციებს ქუქი ფაილებთან დაკავშირებით თანხმობის მოპოვების შესახებ (WP208).

განთავსებისთვის, რომლებიც აუცილებელია მომხმარებლის ქცევაზე მორგებული რეკლამისთვის.

56. EDPB, აგრეთვე, აღნიშნავს რომ მომხმარებელთა მონიტორინგი და პროფილირება შესაძლებელია განხორციელდეს მსგავსი მახასიათებლების მქონე პირთა ჯგუფების იდენტიფიცირების მიზნით, რაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა საშუალებას მისცემს, რეკლამა მსგავს აუდიტორიებს მოარგოს. ამგვარი დამუშავება ვერ განხორციელდება 6(1)(b) მუხლის საფუძველზე, რადგან შეუძლებელია იმის თქმა, რომ მომხმარებელთა მახასიათებლების და ქცევის მონიტორინგი და შედარება, სხვა ფიზიკური პირების წინაშე რეკლამირებასთან დაკავშირებული მიზნებისთვის, ობიექტურად აუცილებელია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებისთვის.[33]

3.4 დამუშავება შინაარსის პერსონალიზაციისთვის[34]

57. EDPB ითვალისწინებს, რომ შინაარსის პერსონალიზაცია <u>შესაძლოა</u> (თუმცა, არა ყოველთვის) წარმოადგენდეს გარკვეული ონლაინ სერვისების განუყოფელ და მოსალოდნელ ელემენტს. ამრიგად, გარკვეულ შემთხვევებში, იგი <u>შესაძლოა</u> განხილული იქნას, როგორც მომსახურების მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების შესრულებისთვის აუცილებელი. ამგვარი დამუშავება წარმოადგენს თუ არა ონლაინ მომსახურების განუყოფელ ასპექტს დამოკიდებულია მომსახურების ხასიათზე, საშუალო მონაცემთა სუბიექტის მოლოდინებზე არა მხოლოდ მომსახურების პირობების, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ხდება მომსახურების რეკლამირება მომხმარებლების წინაშე, და იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია მომსახურების მიწოდება პერსონალიზაციის გარეშე. თუ შინაარსის პერსონალიზაცია ობიექტური თვალსაზრისით, არ არის აუცილებელი ხელშეკრულების მიზნისთვის, მაგალითად, როდესაც პერსონალიზებული შინაარსის მიწოდება მიზნად ისახავს მომხმარებლის ჩართულობის გაზრდას, თუმცა, არ წარმოადგენს მომსახურების გამოყენების განუყოფელ ნაწილს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა განიხილოს ალტერნატიული კანონიერი საფუძვლის გამოყენების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით.

---

[33] ასევე, იხ.29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო ინსტრუქციები ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების და პროფილირების შესახებ, 2016/679 რეგულაციის მიზნებისთვის (WP251rev.01), მხარდაჭერილია EDPB-ის მიერ, გვ.13.

[34] ონლაინ სერვისების შემთხვევაში, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იქნას ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის დირექტივა (EU) 2019/770 ციფრული შინაარსის და ციფრული სერვისების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებათან დაკავშირებული გარკვეული ასპექტების თაობაზე (OJ L 136 22.05.2019, გვ.1), რომელიც ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან.

მაგალითი 7

სასტუმროების ონლაინ საძიებო სისტემა მონიტორინგს უწევს მომხმარებელთა მიერ წარსულში განხორციელებულ ჯავშნებს, რათა შექმნას მათ მიერ გაწეული ტიპური ხარჯების პროფილი. ეს პროფილი შემდგომ გამოიყენება მომხმარებლებისთვის კონკრეტული სასტუმროების შეთავაზებისთვის, საძიებო შედეგების გამოტანის დროს. მოცემულ შემთხვევაში, მომხმარებლის წარსული ქცევისა და ფინანსური მონაცემების პროფილირება ვერ იქნება ობიექტურად აუცილებელი ხელშეკრულების შესრულებისთვის, ე.ი. ტურისტული სერვისების მიწოდება მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული საძიებო კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისად, 6(1)(b) მუხლი არ გავრცელდება დამუშავების აღნიშნულ აქტივობაზე.

მაგალითი 8

ონლაინ სავაჭრო პლატფორმა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, დაათვალიერონ და შეიძინონ პროდუქტები. სავაჭრო პლატფორმას სურს, მომხმარებლების მიერ ნანახი პროდუქტების საფუძველზე, მათ წარუდგინოს პერსონალიზებული შეთავაზებები, რათა გაზარდოს მომხმარებელთა ინტერაქტიულობა. ობიექტური თვალსაზრისით, პერსონალიზაცია არ არის აუცილებელი სავაჭრო პლატფორმის მიერ მომსახურების მიწოდებისთვის. ამგვარად, პერსონალური მონაცემების ამგვარი დამუშავება ვერ დაეყრდნობა 6(1)(b) მუხლს, როგორც სამართლებრივ საფუძველს.